



გეგმისი

№ 1-2

№ 1-2

1883—1907 წ.

30 იანვარი.

ზ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განმარტება: სახალწლოდ. 1 იანვარს 1907 წ.—მწარე ფიქრები, სოფლის ხუცესის.—რა აძულებს ქართველებს თავის ეკლესიასთვის ავტოკეფალიობის აღდგენას (მოხსენება მეორე).—სწორედ გაჭირდა საქმე,—სოფლის ხუცისა.—ჩვენი არჩევნების შესახებ, XX სა.—ამხანაგთ, (ლეკსი) როსტომ—გუბა ჩიქოვანის.—წერილი რედაქციის მიმართ, ბლალაჩინის მღ. მამა შათე გორდუზიანის.—ბრძენ კაცთა გონების საღაროდამ.—*წერნალ-გაზეთებდან.*—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მისწავლება ჭრისტიანობის სარწმუნოებასა და ქართლ-ჯეორჯიაში: იყავნ ნება შენი ვითარცა ცოთაშინა, ვერეცა ქვეყანასა ზედა, ი. ბალუევისი.—განცხადებანი.

F 493

სახალწლოდ.

1 იანვარს 1907 წ.

ახალი წლის დამდეგს ყოველი ჟურნალ-გაზეთის მოვალეობა არის ანგარიშს მიიტანვად წარსული წლის მთელი სახელმწიფოის ხალხის ყოფა ცხოვრებაზე საზოგადოდ; გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული თუ როგორ მიმდინარეობდა ხალხის ცხოვრება, რა ცვლილება მოხდა ხალხის საკეთილდღეოდ და რა ელოებოდა წინ მის კეთილ დღეობას? თუ გავლილი წელიწადი უბედური იყო ხალხის პროგრესიულად წინსვლისათვის პრესამ უნდა აღნიშნოს მიუდგომლად და გულწრფელად ყველა სამწუხარო შეცთომანი, რომ შემდგეში ამორდეს ხალხი მათ განმეორებას და ამით ხელი შეუწყოს ხალხის კეთილად მიმდინარეობას. ვედებში ცოტა მაინც შეგვასრულოთ ეს მოლოდინი ხალხისა.

ჩვენ ვგონებთ, რომ რუსეთის სახელმწიფოსათვის ასი წლის განმავლობაში არ ყოფილა ისეთი უბედური დრო როგორც იყო ორი წარსული წელიწადი. არასოდეს რუსეთის სახელმწიფოს არ დახოცია ომიანობის დროს იმდენი ხალხი რამდენიც დაიხოცა იაპონიასთან ომში. არასოდეს რუსეთს არ მიდგომია იმდენი ზარალი, როგორც მიაღდა იაპონიასთან ომიანობით. დიდის ხნიდან

ვალით და ვახით მოპოებული ფლოტი და საომარი იარაღები-ორი სამი დღის განმავლობაში დაინთქა და დაიღუბა და უმეტესი ნაწილი მტერს ჩაუვარდა ხელში. ნივთიერი ზარალის გარდა უმეტესი ზარალი არის მორალური და პოლიტიკური. რუსეთის სახელი და გავლენა, მოპოებული საკუთარ შემამულეთა შედეგების აუარებელ სისხლის დაღვრით, სხვა-და-სხვა ომიანობის დროს, აღმოსავლეთში და სხვა სახელმწიფოთა შორის დაეცა და სლავიანების სახელმწიფოებშიაც დღეს მან დაჰკარგა გავლენა. სიმაგრე, რომელითაც ამაყობდა რუსეთი აღმოსავლეთში მწყნარ ოკეანესთან, აღარ არსებობს. სახელმწიფო ვალმა, რომელიც უძიმისათვ მტისმეტად დიდი იყო, უფრო მოიმატა. ეკონომიური მდგომარეობა სახელმწიფოსა დაეცა და ყველა ამას დაერთო შიმშილობა ხალხისა მოუსავლობისა გამო...

ესეთია წარსული წლების ანგარიში. ჩვენ ვვინებთ, რომ ამ უბედური წლების ანგარიშს არა თუ ჟურნალ-გაზეთი, არამედ მთელი დიდი ტომები ვერ დაიტევს. ამის გამოკვლევის უნდა დიდი დრო და თავისუფლება ბეჭდვის სიტყვისა, რომელიც ჯერ არ არსებობს...

როდესაც გარეგან მტერს შეურიგდით და ომიანობა მოისპო გვეგონა, რომ მშვიდობიანობა



დამყარდებოდა და მოვისვენებდით. მაგრამ შეგინე თურმე უმეტესი უბედურება მოგველოდა. ომიანობამ იაზონიასთან ხალხს აშკარად დაუმტკიცა, რომ იმ პირებს, რომელნიც სახელმწიფო საქმეებს განაგებენ, და რომელთა წყალობით ამდენი ზარალი ნახა რუსეთმა ომის დაწყებით, არ შეუძლიათ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ხალხის დაუხმარებლად.

თავიანთ მოხოვნილებას ხალხი ამტკიცებდა მით, რომ შეგნებული ხალხი წინააღმდეგი იყო ომიანობისა იაზონიასთან და ამისათვის მოითხოვეს, რომ ხალხს მისცემოდა უფლება მონაწილეობა მიეღო სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. ხელმწიფე იმპერატორმა მიანიჭა 17 ოქტომბერს ეს უფლება ხალხს, მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს ბიუროკრატია კონსტიტუციის მაგიერ ხალხს მისცა სათათბირო, რომელიც სრულებით არ ემსგავსება კონსტიტუციას. ხალხმა მოითხოვა კანონმდებლობით სათათბირო და ესევე განიმეორა პირველმა მოწვეულმა სათათბირომაც. სათათბირო დათხოვილ იქნა და დაიწყო რეაქცია. ერთად ერთი ნუგეში ჰქონდა ხალხს იმისი, რომ დამსჯელ რაზმებს, რომელნიც დაიგზავნენ მთელ სახელმწიფოში და განსაკუთრებულ განაპირა ქვეყნებში დავალებული ჰქონდათ არ შენებოდნენ უღანაშუროთა და უბრალოთა, მაგრამ მრავალს ადგილას მოსტყუებდნენ. აღარ იყო გარჩევა ბრალიანის და უბრალოსი, ერთად მოვედინა ყველას ცეცხლი და აოხრება. იაზონიასაგან დამარცხებულნი მიესიენ ხალხს და მთლად მათი სიმდიდრე გაანადგურეს და დაღუპეს.

მართალია ომიანობის დროს, როცა ერთი ხალხი მეორეს ეჩხუბებდა, ადგილი აღარ აქვს შებრალებას, ყოველივერი ძლეული მებრძოლისაგან ცეცხლს მიეცემა და თვითონ მებრძოლნიც იყლიტებიან სანამ თავს არ მოიხრიან და შებრალებას არ სთხოვენ გამარჯვებულს. მაგრამ არსად წაგვიკითხავს და არც გვსმენია, რომ ჯარის კაცი თავიანთ მოძმეთა, ერთის სარწმუნოებისა, ერთი რჯულისა და ერთი სახელმწიფოსისა ისე შეუბრალებლად მისვოდეს ხალხს, შერმე მაშინაც როცა პურმაროლით, ხატებით, ჯვრებით და ბაირაღებით ეგებებიან, როგორც ეს მოხდა მრავალს ადგილას დამსჯელი რაზმებისაგან. იმას არ ვამბობთ, რომ ხმა არ გავეცათ სადაც მათ ეწინააღმდეგებოდნენ და ეჩხუბებოდნენ, მაგრამ, არ გვესმის, როგორ უნდა მოხდეს იქ

ეს აკლებს სადაც არავითარი იარაღი არ აქვს და ერთიც არ გამოსულა საბრძოლველად? პირიქით თვითონ ეს ხალხი იგლიჯებოდა, იცარცვემოდა და ისიცებოდა, მაგრამ მისი მფარველი და დამცველი არავინ არ იყო... აღარ იყო გარჩევა აღარც შენიანებიან აღარც უცხოთაგან. ხალხი ორ ცეცხლს შუა იყო და არის დღესაც, თავიანთებისაც ეშინია და გარეგანებისაცა, ერთიც ხოცავს და ჯლეტს და მეორეც არასოდეს ხალხს ესეთი ტანჯვა არ გამოუცლია. ამ სამწუხარო მოვლენამ, ბრალიანის და უბრალოსი გაურჩევლობამ მეტის მეტად გაუტეხა ხალხს გული და დიდი დროა საჭირო ამ გატეხილი გულის გასამთვლებლად...

ყოველი კაცი მოველის ცხოვრების ცვლილებას, ყველა კარგად სცნობს და გრძნობს რომ ესეთი მდგომარეობა შეუძლებელია, ყოველად აუტანელია. ვერ მოვიტოვებთ პირველ ხანებში დუმა იქნება, სათათბირო, თუ რაც გინდათ უწოდეთ, რომ ყოველივე მისი მოქმედება სწორედ მშვენიერი და რიგიანი იქნეს, მაგრამ ყოველი კაცი, ნასწავლი და უსწავლი, დიდი და პატარა, მღვდელი და ერი, მორწმუნე და ურწმუნო გაღვიძებულია და მოველის ცხოვრების ცვლილებას. რეფორმების შემოღების ამბავი 17 ოქტომბერს თვით ხელმწიფემ აუწყა ხალხს. მაშასადამე მისი მოსპობა, უკან დაბრუნება ყოველად შეუძლებელია, თუ ვინმე ფიქრობს ამას...

ყველა გრძნობს და მოველის მცირეს დროში რაღაც გამოუთქმელ სასიხარულო ამბავს, მაგრამ თუ სასიხარულო არა იქნება-რა მაშინ მოველის კიდევ რაღაცა უბედურებას. ესეთია ამ ახალიწლის დადგომისას ყოველი კაცის გულის გრძნობა და მოლოდინი. დემრთმან ინებოს და გამართლებულიყოს ჩვენი გულის კეთილი გრძნობა და სურვილი!..

ვისაც კაცობრიული გრძნობა შერჩენია, ვისაც ღვთის მსგავსება და ხატება აქვს, ვისაც ცოტაოდენი სიყვარული აქვს თავის სახელმწიფოსისა და მამულისა ყველა უნდი სულით და გულით, მაცადინობდეს, რომ ბოლო მოეღოს ხალხის ამ უბედურ მდგომარეობას და მიეცეს მას ისეთი მართვა-გამგეობა, რომელიც მიანიჭებს მას კეთილდევობას და მყუდრო ცხოვრებას, რომელიც აღადგენს მას სულიერად და ხორციელად.

ჩვენ ნიადაგ ვლოცვილობთ ყოველთა ერთ-



ბასთავის, ხალხშიაც ბევრს ვაძიხიან ერთობაზე, მაგრამ აშკარად მტკიცდება, რომ ჩვენში კიდევ არ არის ერთობა. ვიდრემდის ეს ერთობა არ დაარსდება ჩვენში მანობამდისინ ჩვენი ცხოვრებაც უფერული დარჩება...

ვაუმარჯოს ყოველთა ერთობას! შორს ჩვენგან პარტიობა და პარტიული ბრძოლა, დამამდაბლებელი და გამათახსირებელი ხალხისა და ყოველი პასიონანი კაცობრიული გრძნობისა და მიმართულებისა!..

სოფლის ხუცისი




მწარე შიშრები

შინ იტყვის, რომ თავისუფლება ბეჭდვითი სიტყვისა კარგი და ხალხისათვის დაუფასებელი არ იყოს? ვინ იტყვის იმას, რომ კაცის გული და სული არ სტკებმა და სრულიად არ ყმაყოფილდება მაშინ, როცა თავისუფლად შეუძლია გამოსთქვას თავისი ჭირვარაი და სიხარული, აზილოს ყოველ კაცს ცული საქციელი და მოქმედება, შეეწიოს თავისი სიტყვით და აზროვნებით დაჩაგრულთა, უმართლოდ დევნულთა! მაგრამ ეს თავისუფლება ბეჭდვითი სიტყვისა, დიდი სასარგებლო ხალხისათვის, უსარგებლო და დიდი უბედურობის მომტანია მათთვის, რომელთაც არ ესმისთ და არ გაეგებათ ეს თავისუფლება. იქ სადაც კაცის პიროვნება ერთ კიტრად არ ფასობს, იქ სადაც კაცის პიროვნების შეუხებლობა გაათახსირებულია, იქ სადაც ტვინდაცები, ქეუა დაბნეულები და სულით ავათ-მყოფები სამწერლო ასპარეზზე გამოდიან, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება დიდი ზარალის მომტანია. ამისთანა მწერლებს უფრო მეტი ზარალი მოაქვს ხალხის კეთილდღეობისათვის ვინემ ყაზადებს. ყაზლები ერთ ადგილას მოქმედებენ ბოროტად და სხვაგან ხალხი თავისუფალია მათი აკლებისაგან. ქეუა დაბნეულ მწერალთა წერილებს კი ყველგან კითხულობენ და ყველგან მოიმიჯან დათესილის ნაყოფს...

დიდი ხანია რაც ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება არსებობს ამერკიში, ინგლისში და სხვა ევროპის სახელმწიფოებში, მაგრამ ეს განაოლებული ხალხიც კი ვადადის ხოლმე ხანდისხან წრებს და

კადრულობს ზოგიერთ პირთა პიროვნების შეურაცხყოფას. ამას ამტკიცებენ სასამართლოს განაწინები, რომელთაგანაც ცხადად სჩანს დამნაშაობა ზოგიერთ მწერალთა. თუ იქ, სადაც კაცის პიროვნება დაფარულია და ხელ-შეუხლებელი, თუ იქ, სადაც ზრდილობიანობა ვაღმერთებულა აღმოჩნდებიან ხოლმე უზრდელი მწერლები რა უნდა ვიფიქროთ ჩვენში, სადაც ზრდილობა არ ესმისთ და კაცის პიროვნება ერთ გროშად არ ფასდება. რა უნდა ვაფიქროთ ჩვენში, სადაც ცილის დაწამება, კაცის ვაღანძვლა და გაათახსირება ზოგიერთებს თავის ხელობად გაუხდიათ?..

ეს მწარე ფიქრები გამოიწვია ჩვენში ქურნალ-გაზეთებში წაკითხულმა სტატიებმა. ერთს რუსულ გაზეთში იყო აგერ წინეთ დაბეჭდილი შემდეგი: „ერთი ვაჭარი მიდიოდა ქალაქში სავაჭრო ნივთების სასყილად. გახში შემოაღამდა. საღამოს დროს გზის ახლოს დაინახა მღვდლის სახლი, მუხეცია და სთხოვა მღვდელს: მამაო! ქალაქში მიდივარ სავაჭრო ნივთების სასყილად. მეშინია უბრალო დუქანში დაბინავებისა, რომ არ გამეცარცონ, გთხოვთ გამათევინოთ დამე, თქვენნი არა მინდა რა, მე მაქვს ყველაფერი. მღვდელმა სასიამოვნოთ მიიღო და სასიამოვნოდ დაურჩა, რომ იმასთან დაბინავება საიმედოთ მიიჩნია: თქვენ, შვილო, ჩვენი სულიერი შვილები ხართ და ისე შეგძლიათ მოხვიდეთ როგორც მამასთან... უთხრა მოძღვარმა. ესლა საშიშოა ფულიანი კაცის დაბინავება სხვა ადგილას. დაბინავდა ეს ვაჭარი მღვდლის ერთ ოთახში „პოვოვსკა“ და ცხენები ეზოში დააყენეს. ყველამ დაიძინა მღვდლის ოჯახში, მაგრამ მღვდელს არ ეძინა. ის მეორედღეს წირვას ემზადებოდა. ჯერ ილოცა და ლოცვის შემდეგ დაწვა, მაგრამ სხვა-და-სხვა ფიქრებმა არ დააძინა. „ვაჭარს ბევრი ფული აქვს ალბათ, ფიქრობს მღვდელი.“ ადგა და შევიდა მორადლებით სტუმრის ოთახში და შეწერდა. ღრმათ მიძინარს - ხვრინვა მოესმო. გამობრუნდა უკან და შევიდა ისევ ოთახში, ხელში უკავია დიდი რკინის ურო. ერთი მაგრად დაჭრა თავში და ტვინში ჩაეფლა. სუნთქვა შესწყდა და კაცი სრულებით აღარ განძრეულა. „ღმერთმან განვისვენოს,“ ერთი უთხრა და ჯიბეს მივარდა. ამოაოცლა მთლად რაც ფული ჰქონდა. მკვდარი გამოიტანა გარეთ, დადვა პაოზკაზე, შეუბა ცხენები, გამოიყვანა და დააყენა გზაზე,



გარეკა და გაისტუმრა, ჯერეთ ისევე დამე იყო. გათენღბისას მგზავრებმა შენიშნეს მოკლული კაცი და შეიქნა ერთი ძიება და პოლიციის გამოკვლევა, მაგრამ მკვლელი, რასაკვირველია, არ აღმოჩნდა... მღვდელს იმ დღეს წირვა აღარ უნდოდა, მაგრამ მღვდიონემ მეთვთაო საათზე ზარების რეკა დიწყო. ეწყინა მღვდელს, მაგრამ რას იზამდა, წვიდა. მივიდა, შეემზადა წირვას, მაგრამ, ვაი იმ წირვას! გაათავა როგორც იქნა წირვა. მღვდიონემ რაღაცაზე გარეთ გაზახანა და თვითონ ტრაპეზში დარჩა. ნახა ერთი ბაწრის ჩამოსაკიდებელი კოტა და კუბოს ასაწვეი ტილოთი თავი ჩამოიხრჩო. ბოლოს ყველაფერი აიხსნა, მაგრამ საქმის გასწორება კი აღარ შეიძლებოდა! აღშფოთებულნი იყო მკითხველი საზოგადოება. ყოველი მკითხველი ზიზღით უყურებდა ამის შემდეგ მღვდელს და მათ ანაფორას... შეიქნა კითხვა—გამოძიება თუ საღ მოხდა ეს? ვინ იყო ეს მღვდელი და ან ვინ იყო ვაჭართაგანი მოკლული? მაგრამ გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ არსად ამის მსგავსი არა მომხდარა-რა. თავიდან ბოლომდის ეს ამბავი გაზეთისა იყო სიცრუე და ავტორის გამოგონება იმ მიზნით, რომ სამღვდელოების მნიშვნელობა დასცეს ხალხში და ყოველ კაცს ზიზღი აღუძერას მღვდელ-მოძღვარზე და ყოველი ნღობა და რწმენა დაუეარგოს მას. რა უნდა ვისტკვათ ამისთანა მწერლებზე, ან იმისთანა ჟურნალ-გაზეთებზე, რომელნიც სიხარულით მიიღებენ ამისთანა ცრუ ამბებს და მოათავსებენ თავიანთ გამოცემაში ვერაგულის მიზნით?..

სწორეთ ამისთანა მწერლის ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს ვიღაცა მწერალი ი. ნ — ძე, რომელიც ხშირად სწერს სხვა-და-სხვა შინაარსის წერილებს. როცა კითხულობ ამ კაცის წერილებს გაკვირებული შენ თავს ეკითხები: ეს კაცი ერთი და იგივეა თუ მისი სახელით კიდევ სხვა ვინმე უფიცო და უგზური სწერს? წიკითხავთ ერთ სტატიას და მოგწონს მისი მსჯელობა და ლოლიკაც, მაგრამ როცა წიკითხავთ მეორეს, განსაკუთრებით სამღვდელოებისა და სარწმუნოების შესახებ სტატიებს, თქვენ გებადებათ ის აზრი, რომ ეს კაცი უთუოდ ქუთა დაბნეულია და სრულებით არა გეგვება-რა არც სარწმუნოებისა და არც სამღვდელოების საქმისა. ბოდავს და მსჯელობს რაც მას თვითონ მოსწონს და რასაც მისი ტვინი ფიქრობს, სრულებით არ აქცევს ყურადღებას და-

ნარჩენი კაცობრიობის რწმენასა და მსჯელობას. თავის მოსაზრებას აფუძნებს ისეთ ბავშურ ზღაპრებზე, რომელსაც არ იკადრებს სულ მცირე ნასწავლი კაციც.

მკითხველი, რომ ამაში ნამდვილად დარწმუნდეს თვითონ ვალაპარაკოთ ეს ვაჭებატონი. აი რა მარგალიტებს სწერს იგი:

მღვდელი სინათლეს აქრავს.

ერთმა მოსოველმა პროფესორმა სტუდენტებს თავი მოუყარა თავის სახლში და შემდეგი ცდა მოახდინა. აანთო სანთელი, სტოლზე დადგა და ჰკითხა სტუდენტებს: ვინ არის, თქვენის აზრით, რუსეთში სინათლის ჩამქრობილი? მოულოდნელმა კითხვამ ციკათი დაადიჭრა სტუდენტები პროფესორის სანთლის წინ დაჯდა, პირი იმის პლს მიუშვირა და წარმოსტყვა სიტყვა «прогресс» (პროგრესი); სანთელი არ გაქრა. შემდეგ სთქვა სიტყვა «нравственность» (ზნებობა): სანთელი არ გაქრა; კიდევ წარმოსტყვა სიტყვა «глаголство» (პატოლნება); არც ახლა გაქრა სანთელი. შემდეგ სთქვა სიტყვა — «поп»! (მღვდელი). სანთელი იმ წამსვე გაქრა.

ეს ამბავი გამახსენა ვახ, «რუს. ვედ.»-ში მოთავსებულმა საფელიდან მოწერილმა ერთმა საგულისხმეო კორესპონდენტიამ, რომელიც ადგილობრივ მღვდლის სინათლის ჩამქრობ მოღვაწეობას შეეხება. ამ სასიკვდილო სასულიერო გავს მოუწადინა ღლევადელ საქობროტო სავნის შესახებ ეკლესიაში ქადაგება. ადვილად წარმიადგენთ, მკითხველო, როგორ დინჯად და გულ-დასმით მოემზადებოდა იგი ამ საყურადღებო საქმისათვის. იგი უნდა შეზებოდა ღლევადელ მოძრაობას, ხალხში გაღვივებულ თავისუფლების და სხ.

იმის დასამტკიცებლად, რომ სამღვდელოება მტერია განათლებისა და იგი სულით და გულით მაცადინობს, რომ ხალხი სინნელის მორავში სკურავედეს, ჩვენ შესანიშნავ მწერალს, მოჰყავს ესეთი ახიზებული ბავშური არაკები. ამისთანა სამასხარო ფაქტებით არწმუნებს უფიც ხალხს, რომ სამღვდელოება დიდად მაცადინობს, რომ ხალხი არ განათლდესო. ეს ხომ სიცრუეა. აიღეთ და სთქვიეთ რამდენჯერაც გნებავს სიტყვა მღვდელი, არასოდეს სანთელი არ დაქრება. სიტყვას «პოპულ» არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სიტყვის გათავებისას ჰყერს თუ შემერავ სიტყვა «პოპი» იქნება თუ სოციალ-დემოკრატი, თუ ფედერალისტი, ბურჟუა თუ პროლეტარიატი მაშინვე გაქრება სანთელი. დიად, მთელი წოდების გასაღამდავად და საზარელი ცილის დასაწამებლად არ კმარა ესეთი ბავშური ანე-



გდობები. გაიგეთ რომ უვიც ხალხს ამით რყენით და ართმევთ ყაჩაღურად მას ურომლისოდ ცხოსრება არ შეუძლია... გაიგეთ და შეიგნეთ, რომ ხალხის გონებით განათლებამ ძლიერ წაიწია წინ. ისწავლა ცურვა ზღვაში თევზით. ისწავლა ფრენა ჰაერზე ფრინველივით; ერთი ქვეყნის კუთხიდან მეორე კუთხეში, ძლიერ შორს, ესაუბრება კაცს, მაგრამ ყველა ძველ დროს შენატრის და ცხოვრება კაცისა უფრო უსიამოვნო და გაკირვებულია. რა გვაკლია? ერთმანეთის სიყვარული, რომელიც ქრისტემ გვაძლევს. მაგრამ ქრისტესაც და მის მცნებასაც ხელა ხომ უარს-ყოფენ!.. ქვეყნის დასაწყისიდან ყოველნაირი რეჟიმი სკადეს, მაგრამ არც ერთმა სამოთხე ამ ქვეყანაზე არ დააყარა მისთვის, რომ ერთი ერთმანეთის სიყვარული არ არის; არ არის ჩვენში ერთობა—ერთობის მაგიერ, ჩვენ სამარცხნიოდ და ჩვენ დასალუგავად, ათას-ნაირ პარტიებს ვაარსებთ... ეს არის ერთობა?!

ავიღოთ კიდევ მეორე სტატია ამ ახირებული მწერლისა, რომელიც მთელ სამღვდლოებას ლანძღავს და სახელს უტყებს. აი ეს სტატია:

ვისაც მოსკოვი უცხოვრია, ეცოდინება. რომ იქაურზე უმუქესნი სამღვდლოება მთელ დღეა მიჯის ზურგზე არ მიიძვინება. ეს სააქაო იმით უკვე თავის კუთხის სამოთხედ გადაქციეს. კარ-და-კარ ეტლით ხატებს დაატარებენ; განსაკუთრებით მდიდართა ოჯახებს უშორებენ სტუმრობას, რადგან იქ კარგი ჯილღა და მუსუქანი ლეუგულებათ, ისეთი მავალეობა მოხდა იქ, რომ მდიდრებისათვის გამართულ საროსკიბო სახლის პატრონმა მოიწვია მღვდლები ხატით შენობის საკურთხებლად და მღვდლებიც ეწვივნენ, რასაკვირველია...

როგორც ბუ-ლამბის წყვილად, ისე სამღვდლოებაც ყველგან ხალხის უვიკობას ეტრფის, რადგან სიბნელეში იგი თამამდ ნაჯირობს.

ნაპალეოზ პირველმა კარგად იცოდა სამღვდლოების უმწიკური ორენობი. იმის ცხოვრების აღწერაში შემდეგი ფრიალ საყურადღებო ამაზე მოხდა. როცა ნაპალეონმა იტალიის ცნობილი ქალაქი ფლორენცია დაიპყრო, სამღვდლოებამ შემდეგი ოინი იხმარა იმის წინააღმდეგ ხალხის ასაჯანყებლად. მოახლოებული იყო ხალხის მიერ ფრიალ პატივცემული დღესასწაული, როცა ყოველი მხრიდან დიდებულ ტაძარში თავ-მოყრილ ხალხს შემდეგი სასწაული ეჩვენებოდა: იქ დაცულ ერთ წმინდანის ნეშტს თვალთვან წმინდა ცრემლი ეწვეთებოდა, რაიცა ისე სწამდა ხალხს, რომ რწმინდანი კმაცოფილია მათი და აღტაცებული ცრემლებით ეგებება.

ნაპალეონის შემოსევის შემდეგ ეს სასწაული აღარ მოხდა, რამაც ერთობ დადიკრა ტაძარში თავ-მოყრილი

ხალხი. ეს რომ ნაპალეონმა გაიგო, ფლორენციის უმაღლესი სამღვდლონი დაიბარა თავის სასახლეში, უშვერის სიტყვებით გამოლანძღა და სასტიკად უბრძანა: ამ საღამოსვე ისევ თავი მოუყარეთ ტაძარში ხალხს და, თუ სასწაული არ მოხდა, დღეა-მიწაზე თქვენ სახსენებელს გავაქრობო.

რასაკვირველია, სამღვდლოებამ ნაპალეონის ბრძანება მეფითად აასრულა. ხელ-ახლად თავ-მოყრილ ხალხს სანატრელი სასწაული მოეგინა და ხალხიც დასშვიდა.

გასაკვირველი არ არის, რომ სახლის ბალაგრის საკურთხებლად სამღვდლოება მოიპატივეს. მოხდა, რომ ეს სახლი შემდეგში საროსკიბოდ გახდა. რა შუაშია აქ სამღვდლოება? რაიცა შეეხება ხატების ტარებას კარ და-კარ ეს, მართალია მაგრამ სამღვდლოება თავისით კი არ დადის ხატებით კარ-და-კარ, არამედ რიგით ჩაეწვრებიან და შეიძლება რიგი მიზოვნელს ერთი თვის შემდეგ შეხედეს! არ გაგონია არავისგან, რომ მიუპატეიებლად ხატი წაესვენებინოსთ ვისთანმე. სიკრუე და საზიზარო ცილის წამება არის, ვითომც მოსკოველი მღვდლები კარ-და-კარ კარვით ხატს დაატარებენ და მერე ფულებს სთხოვდენ ამისათვის. არიან მართლა მრავალნი, რომელნიც ავათ-მყოფობის დროს მოისურვებენ ხატის მისვენებას თავის სახლში და ამ ხატის წინ სიამაღლობდენ ან სათხოვარ ლოცვას შეასრულებინებენ სამღვდლოებას. რა ნეტარებას და ყმაყოფილებს მიიღებენ ეს მლოცველები ამ ხატის მისვენებით და მის წინ ლოცვით იმას ვერ მიანიჭებს ასი და ათასი ბ. ი. ნ.—მისთანა განათლებული. ეს მლოცველები არავის თავის ამნაირი ქცევით ზარალს არ აყენებენ. არავის არა აქვს ნება კაცს ყაჩაღურად წაართვის და უარი თქმევიროს თავის რწმენაზე და მის ნაცვლად თავისი ახირებული რწმენა მიალეზინოს. ეს წინააღმდეგი იქნება კაცის პიროვნებისა და თავისუფლებისა. განა ცოტანი არიან თავისი ახირებული რწმენით ამ ცოდელი ქვეყანაზე, რომ მით არავენ ძალას ან ატანს და არავინ ეხება მათ ახირებულ რწმენას? რა შედარება აქვს ბ. ი. ნ.—მეს ფილოსოფოს დიოგენთან, მაგრამ ისიც ხომ ახირებული რწმენის და მიმართულების კაცი იყო. მთელს სიცოცხლეში ქადაგებდა, რომ სახლების ნაცვლად თითო ბოქვა მოეპოებოდათ და ღამიამობით დასაძინებლად ამ ბოქვებში შემძვრალეყენენ ხოლმე. მისი გამომანგარიშებით ამით მილიარდები



რჩებოდა ხალხის სწავლა-განათლებისათვის. ამასთან რამდენი იქიდავა, რომ თევის უმი უნდა სჯამონ და არა მოხარშული და შემწვარიო. ამას რომ ქაღალგება ნამდვილად თვითონაც ასრულებდა და თუ სხვები არ ისმენდნენ მის ქაღალგებას არავის ლანძღავდა და ძალიდობას არ ხმარობდა...

ავიღებ, მაგალითად, თვითონ ბ. ი. ნ.—ძეს და მის რწმენას. ერთ მომაკვდინებელ ცოდვად და უსჯულდობად მას მიაჩნია ხორცის ქამა, რადგან, მისი აზრით, ცხოველების სისხლის დაღვრა და კაცისა ერთი და იგივეა. კაცისაგან ხორცის ქამა შეუძლებელია მისი აზრით. დიდი რვევნობა იქნება რომ ვინმე ი. ნ.—ძის რწმენას შეეხოს და მოითხოვოს მისგან, რომ უთუოდ ქათმის ხორცი ან სხვა ცხოველისა სქამოს. რომ მართლა ღმერთი გასწყურეს და ი. ნ.—ძის მოძღვრება შეისმინოს კაცობრიობამ ადგილი არ დარჩება დედა-მიწაზე, სულ ცხოველებით აივსებოდა ქვეყანა; პროლეტარებს კი *არა ბურჟუაზებსაც ადგილი აღარ დარჩებოდა და ჩვენ ყანებს ხომ ღორებო, მგლები და დათვები შთანთქამდნენ!?


საოცრად მაკვირვებს ზოგიერთი კაცების მსჯელობა და მოქმედება. ბ. ი. ნ.—ძის კომპანიის ზოგიერთი პირები დიდ შებრალებას და მზრუნველობას იჩენენ ცხოველების შესახებ. მათა შებრალება იქამდის მიდის, რომ ტანისამოსში გაჩენილ მკენარ არსებათა მოშორებაც მტარავლობად მიაჩნიათ!.. დიდება მათ სულ გრძელობას! საკვირველ არს და გაუგებელ ჩვენთვის ტილთა და რწყილთა შებრალება, ხოლო მოძღვართა და მღვდელთა ლანძღვა-გინება და სასიკვდილოდაც გამეტება!.. მიუტყვევ, უფალო, რამეთუ არა იციან თუ რას, სწერენ!..

უკანასკნელი შენიშვნა ბ. ი. ნ.—ძისა ნაპალეონის ცხოვრებიდამ მოყვანილი სრულებით მტკნარი სიტრუეა და გამოგონება სამღვდლოების დასამცირებლად. იტალიის ქალაქს ფლორენციაში ნაპალეონს სასახლე არ ქონებია. იმან დროებითად ვაიარა და დაიპყრა ეს ქალაქი ისე როგორც სხვა სახელმწიფონი ევროპისა. იმის წინააღმდეგა ფლორენციის ქალაქის ხალხს არ შეეძლო მთლად ეკლესიებიც რომ დაემტკნრა. ამ ცრუ ამბის დაწვერი დიდთ შემტყარია თუ იმას ფიქრობდა, რომ ნაპალეონი ამისთანა ახირებული ამბით სახელს მოიხვეჭდა. სიტრუეა ისიც, რომ ფლორენციაში წმიდანის

ნეშტი ყოფილიყოს, რომლის თვალებიდან რცემლი ღნლიოყოს. რცემლების ღნა ხატების თვალებიდამ გამოგონილია იმისთანა პირებისაგან, რომელნიც სულით და გულთ მაცადინობენ სამღვდლოება შეიძულონ მრველს და დაუკარგონ მათზე ყოველივე რწმენა, მაგრამ ამაოდ!..

იყო, არის და იქნება ბრძოლა კეთილისა და ბოროტისა, სიმართლისა და უმართლოებისა, სიყვარულისა და სიძულვილისა და ეს ბრძოლა მიისპობა მხოლოდ მაშინ როცა ეს ქვეყანა დასრულებდა. არც ერთ ღუმეს და არც ერთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საუკეთესო რეეიმს არ შეუძლია ამ ბრძოლის მოსპობა.

სოფლის ხუტეი.



რა აიძულებს ძარბველებს თაჰის ეკლესიისათვის ავბოკაჰალოზის აღდგენას.

(მობსენება მეორე*).

ნიგება ამა კითხვისა მოკლეა — უფლება ისტორიული, კანონებრივი და დღევანდელი სატიარლი მდგომარეობა საქართველოს ეკლესიისა. პირველი ორი მხარე ამ კითხვისა ჩვენ განვიხილეთ პირველ მოხსენებაში, გვრჩება ამ მეორე მოხსენებაში მოსაყვანად უფრო დიდი და შესამჩნევი ფაქტები ჩვენი ეკლესიური ცხოვრებიდან. რომ ჯეროვანად დავანახოთ მკითხველს და განვმარტოთ ეს ფაქტები საქითა უკან მივიხელოთ. ყველაზე უმაღ უნდა აღვიაროთ, რომ არ არის მართალა ის აზრი: 1) რომ საქართველოს ეკლესიის კითხვა წამოყენებულია ვითომ უკანასკნელი ხალხის რევოლიუციონური მოძრაობისაგან და სარჩულად უღვეს პოლიტიკური მიზანი და 2), რომ საქართველოს სამღვდლოებასა და ხალხის მხრით არ გამოთქმულა არავითარი წინააღმდეგობა სინოდის მართვა-გამგეობის წინააღმდეგ. პირველი აზრი განქარდება სრულებით, თუ ვიტყვი, რომ რევოლიუციონერები (სოციალ დემოკრატები) უარს ყოფენ ეკლესიასაც, ქრისტიანობასაც და ეროვნებასაც, ამისათვის გასაოცარი იქნება მათ მიაწეროს კაცმა აღძვრა საქარ

თველოს ეკლესიის ავტოკეფლობისა. გასაოცარი გაუგებლობაა. საქორა ბოლოს მიანც შეეხედით კითხვას პირდაპირ და შევიგნოთ, რომ საქართველოს ხალხის სურვილს აქვს პირდაპირ განსაკუთრებულთ ეკლესიური ხასიათი ზ ანა პოლიტიკური. ეკლესიური კითხვა, როგორც უწყვიან, ქართველ ხალხთათვის იყო ერთი საპატრიო კითხვათაგანი მრავალ საუკუნოების ისტორიაში. რუსეთის ეკლესიებისა ემჩინევა ეხლანდელ დროში სურვილი მოავაროს უმჯობესად ეკლესიური მმართველობა და აღადგინოს პატრიარქობა, მაგრამ არაფის არ მოუთავაში ის აზრი, რომ ეს ამისთანა კანონიერი მისწრაფება მიაწეროს საზოგადო ხალხის პოლიტიკურ მოძრაობას. საზოგადო სახელმწიფოს რეფორმების გამოცხადებასთან დაიწყო საეკლესიო რეფორმებიც საქართველოში. იგი უნდა დაწყებულიყო, და არ შეიძლებოდა არ დაწყებულიყო, განსაკუთრებით ესლა. იმ დროს, როცა იწყება ნამდვილი და ჯეროვანი წყობილება სახელმწიფოს ცხოვრებისა საქართველოს მართლმადიდებელს ეკლესიასაც სურს აღადგინოს თავისი კანონებრივი წყობილება. გავსინჯოთ—ვენახოთ, რამდენად საფუძვლიანია მეორე მდგომარეობა. მივიქცეთ ისტორიული ფაქტებისადმი, რომელიც ჩვენ ვიცით. ჯერეთ ნოტაში, მირთმეულს ქართველთა რწმუნებულთაგან აპრილის თვეში 1801 წელს საქართველოს ხალხის სახელით, იყო გამოცხადებული, რომ დაშთენილიყო წოდება და თანამდებობა ქათალიკოსისა.¹⁾

1802 წელში, ერთი წლის შემდეგ საქართველოს თავის ნებთ შეერთებისა რუსეთთან, კახეთის თავდა-აზნაურობამ განაცხადა: როცა მათ (მტერთა) დაგვიმორჩილეს, არც მაშინ და არც მის შემდეგ არ გვართმევდენ მეფის წოდებას, არც მღვდელთმთავრობას გვიუქმებდენ.²⁾ 1810 წ. 1 მარტს ურბნისის სამწყსომ ითხოვა შუამდგომლობა ა. პ. ტორმასოვის წინაშე ურბნის საარქიერო კათედრის აღდგინებაზე, მაგრამ რაღაცა უცნობი მიზეზისა გამო ეს ითხოვნა უაღვილოდ იყო შერაცხილი³⁾ 1817 წელსა თელავის მახრის თავდა-აზნაურობამ ითხოვა,

ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორაში, რომ ექვსი მღვდელთმთავრების კათედრის გაუქმების შემდეგ კახეთში ერთი მღვდელთმთავარი მიანც დანიშნონ ქორ-ვისკოპოსის წოდებით, რომ ის ნიადაგ სტავოგრებდეს კახეთში, მაგრამ ეს კანონიერი ითხოვნაც უარ-ყოფილ იყო.⁴⁾

კიდევ პროტესტი დასავლეთის საქართველოს სასულიერო წოდებისა 1820 წელში, რომელიც ოფიციალურად წოდებულია საეკლესიო ბუნტად და გათავებული ორი მოხუცებული მღვდელთმთავრების გაძევებით, რომელთაც არ ისურვეს დამორჩილება უწმიდესი სინოდისა და უკანასკნელ შეძლებისამდისინ მიცადნობდენ დაცეკათ თავის ეკლესიის უფლებანი⁵⁾. არა ოფიციალური პროტესტის წყალობით, შუამდგომლობა ქართლ-კახეთის-იმერეთის სინოდის კანტორისა 1840 წელში, რომ ქუთაისში დანიშნულიყო რუსის არქიერი არ დამტკიცდა. ამ მიზეზისა გამო იმავე წელში არ იყო შეწყნარებული შუამდგომლობა სინოდის კანტორისა, რომ გორის სავისკოპოსო კათედრაზე დანიშნულიყო რუსთაგანი არქიმანდრიტი, რადგან ვითომც კანდიდატები ამ ადგილისა ქართველთა შორის არ იყვნენ!

უწმიდესმა სინოდმა დაამტკიცა ეს წარდგინება, მაგრამ ხელმწიფე იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ კეთილ იჩება ამ საქმის შესახებ სინოდის მოხსენებაზე შემდეგი საყურადღებო რეზოლიუციის დასმა: „თანხმა ვარ, მაგრამ ცოდნა ადგილობრივი ენისა იქ მიუცილებლად საქორაზე, რომ დასულ იქნეს ჯეროვანი გავლენა ხალხზე, და ამისთვის სასურველია გამოჩრეულ იქმნეს იმისთანა პირები, რომელთაც იცოდენ ადგილობრივი ენები დღდა განათლებულნიც რომ არ იყვნენ იმდენათ რამდენათაც აქ საქორანი არიან⁶⁾. გურიის თავადებმა და აზნაურებმა მისცეს ექსპარხოს ველენის 1841 წ. ითხოვნა, რომელშიაც განაცხადებდენ, რომ გურიის მხარეში ვისკოპოსის კათედრის დახურვის შემდეგ სარწმუნოება დაეცა და გურულები თათრის სამხ-

1) პროფესორი ა. ა. ცაგარელი. გრამატები და სხვა ისტორიული საბუთები, რომელნიც შეეგებინა საქართველოს ტიპი მეორე, გამოცემა 1. გვერდი 201 პ. 7.
 2) იხ. აქტები კვ. არქ. კომ. ტომი 1, გვერდი 388.
 3) საქმე საქართველოს დიკასტერიისა 1811 წ. № 4.

4) საქმე სინოდის კანტორისა 1817 წლის № 280.
 5) ერთი ამ მღვდელთ-მთავართაგანი მოხელეთაგან ცემთ გზაში სურამის ახლოს გარდაიცვალა და მკვლარი ატარეს ცხენით ანანურამდის და ამ ეკლესიაში მარხია, მეორე-ი რუსეთში გარდაიცვალა. შეიძლება გაქცევა დაპირა ამ მღვდელთმთავარმა და ამიტომ მოექცევენ ასე!..
 6) საქმე ს. კანტორისა 1841 წ. № 6240.

ღვარზე მსოფრევენი საჭიროებენ პირდაპირ მწყემსთ-
 მთავრის დარიგებას, მოძღვრებას და ზნეობით
 მხრით მათ დამოძღვრას და სარწმუნოებისა და ზნე-
 ობის განმტკიცებას, ამისათვის შეამდგომლობას
 ითხოვენ, რომ მათ დანიშნოდან საკუთარი მღვდელთ-
 მთავარი, რომელსაც თუ ხაზინიდან არაფერი ექმნება
 დანიშნული პირდებოდენ, რომ იგინი მზათ არიან
 მისცან მას სარჩო. მაგრამ ეს თხოვნაც არ იყო
 პატივცემული და დაჰყაფილებული. 7) მოვი-
 გონოთ არა ერთ გზის წყრილობითი პროტესტები
 ყ და სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრე-
 ლისა და აგრეთვე პროტესტი წინააღმდეგ თფი-
 ლისში პირველი ვიკარის დანიშვნის შესახებ ტო-
 მით რუსთავანისა და დასასრულ პეტრია მთელი
 საქართველოს საეპისკოპოსო სამღვდლოებისა,
 თვად აზნაურთა და ინტელიგენტთა. განა პრო-
 ტესტი არ არის შედეგი ასი წლის სამწუხარო
 საქართველოს საქათალიკოსო კათედრის დაქვი-
 ვებისა?..

საქართველოს ეკლ. კითხვის გამოცხადებას,
 30 წლის წინეთ, ზოგიერთი საეკლესიო მწერ-
 ლები რაცხედნ სრულებით შეუძლებლად. აი რას
 სწერდა ამაზედ ტერტი ივანეს ძე ფილოპოვი.
 „ნებას ვაძლევთ თავს ვინმართ ზომა ცოტა ხე-
 ლოვნური და ვაგისინჯათ სრულებით დაუჯერებე-
 ლი წინეთ განხრახულება. ცნობილია, რომ საქა-
 რთველოს ეკლესია, პოლიტიკურად საქართველოს
 შეერთებამდის რუსეთთან, იყო ავტოკეფალური 8)
 საქართველოს შემერთების შემდეგ ჩვენ მხარესთან
 საქართველოს დამოუკიდებელი კათედრა, მიზეზის
 უქონლობისა გამო თავის არსებობის გასაგრძობად,
 გაუქმდა და ამ დროიდან ექსარხოსები ინიშნებიან
 ყოველთვის უწმიდესი სინოდისაგან და უთუოდ
 რუსთავანი ჩამომავლობით: ეს იყო უკანასკნელი
 მახლობელი ჩვენი დროისა, ცვლილება მართვა-

გამგელობის, ოდესმე დამოუკიდებელი საეკლესიო
 სამღვდლობლოსი ოცდა ათი წლის შემდეგ მიღებისა.

1767 წ. კონსტანტინეპოლის პატრიარქის სა-
 მუილისაგან თავის გამგეობაში, თხოვნისამებრ მთა-
 ვარ-ეპისკოპოსის არსენისა თავის საგამგეობა კრებუ-
 ლითურთ, მყოფის ავტოკეფალური საეპისკოპოსო
 ობრიდისა, ასე რომ ისტორიული სიმართლით, რო-
 მელიც ასე გაბედულათ მიგვითითებენ ბოლგარები,
 საქართველოს ეკლესიის უფრო ადრე შექმლო
 სხვებზე მოეთხოვა აღდგინება თავის დამოუკიდე-
 ბულეობისა.

დაეთანხმდეთ ესლა, რომ ქართველები, დრო-
 ებითად დაემორჩილენ რა გარემოებათა, ბოლოს
 გაიგონეს, რომ იგინი შეადგენენ, რუსეთის ხალხში,
 განსაკუთრებით თვის; რომ მათ არ ესმისთ საკმაოდ
 საეკლესიო—სლავიანური ლეთის-მსახურება თავის
 ექსარხოსისა; რომ იგინი ამა თუ იმა მიზეზთაგან,
 გრძნობენ მწუხარებას თავიანთ ეკლესიის დამოუ-
 კიდებულესობის დაკარგვის, თუმცა სხვებრ პოლი-
 ტიკურ შეერთებით რუსეთთან-კი ყმაყოფილნი და
 ბედნიერნი არიან, და ბოლოს მათ ქართველ
 ეპისკოპოსებმა მისცეს უწმიდეს სინოდს განცხადება,
 რომ მათ არა სურსთ ამის შემდეგ დაშინენ მათ
 სასულიერო მფლობელობაში.

როგორ მიიღებდა ამას უწმიდესი სინოდი?
 შეგვიძლიათ გაბედულად ვთქვათ, რომ ამ პროტესტ-
 იგი მიიღებდა ცოტა სხვა ნაირად, ვინემ ბოლგარე-
 ლების მღვდელთმთავარსა, რომელიც მიაჩრევს
 გრიგორის მისი კათედრის მოშორებაზე და გამგეო-
 ბაზე, განსაკუთრებით მაშინ, რომ აღდგენილი თა-
 ვის დამოუკიდებულებით ქართველმა მღვდელთ-მთა-
 ვრებმა ამა თუ იმ საშუალებით მოახერხეს დაბინავება
 პეტერბურღში და, აღგილობრივი მიტროპოლიტის
 ნება დაურთველად, დაიწყეს შესრულება საღმრთო.
 მოქმედებისა. ჩვენ სრულებით ეჭვი არ გვაქვს, რომ
 ამას ჩათვლიდენ ეკლესიურ აჯანყებად და ჩვენი
 საეკლესიო მთავრობა არ იქნებოდა განკიცხული
 თავის უფლებათა უმოქმედობისათვის. 9)

ასე ფიქრობდა ბ-ნი ფილოპოვი სამოც და-ათ-
 წლებში, მაგრამ ის შესცდა თავის ბიუროკრატიულ
 წინასწარმეტყველებაში. კითხვა საქართველოს საეკ-
 კლესიო ავტოკეფალიის აღდგინებისა შინც აღიძრა

9) ტ. ფილოპოვ. ესლანდელი დროის საეკლესიო კით-
 ხვები, გვერი 215--217.

7) იქვე საქმე 1841 წ. № 6140.

8) მეორე კანონის ახსნა-განმარტებაში II მსოფლიო
 კრებისა. ვალსამონი ამბობს: მთავარ-ეპისკოპოსი საქართვე-
 ლოსისა იხსენება ავტოკეფალად ანტიოქიის კრების განხილვით.
 ამბობენ, რომ დროსა უწმიდესი პატრიარქის, ლეთის-ქალაქისა
 დიდისა ანტიოქიისა დირხისა პეტრესა, იყო კრების დადგენი-
 ლობა რომ ეკლესია საქართველოსისა იმ დროს დამოუკიდებუ-
 ლი ანტიოქიის პატრიარქისაგან იყოს თავისუფალი და დამო-
 უკიდებელი.



და მის აღდგინებას იხზავილობენ ყველა ქვეშაირიტი შეიღობი საქართველოისა იმისათვის, რომ შედგენ მწ წლის მმართვე-გამგეობისა ცხადათ დინახა ყველამ უფარვისობა სინოდის მართვე-გამგეობის რეკომისია, რომლის შედეგაც არის სრული განხრწნილება რელიგიური ცხოვრებისა საქართველოში, რაც მტკიცდება ოფიციალური ანგარიშებით უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორისაგან¹⁰).

აი როგორ შეურყვევლ ისტორიულ საფუძველზე არის აშენებული ავტოკეფალია საქართველოს ეკკლესიისა, თუ ამას მიუმატებთ კიდევ იმასაც, რომ ცამეტი საუკუნის განმავლობაში ყველა აღმოსავლეთის პატრიარქები უღაოთ ცნობილობდნენ მის ავტოკეფალობას, მაშინ ცხადდ დინახება მეტისმეტად ძლიერი ექვი, გავრცელებული ქართველთა შორის შესახებ უკანონო თავის სურვილისამებრ გაუქმება ავტოკეფალობისა, თავის ნებით, ძმურად შეკავშირებულის ქართველებისა რუსეთის სამპყრობელოსთან. ამ განსაცვიფრებელმა სიგელმა რუსეთის მართველობის ასი წლის განმავლობაში ისტორიულად შეცდომისა, როგორც მოსაზრდენდი იყო მიაცხება საქართველოს ეკკლესიისა, როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, იმდენი უბედურება, რომ ესლა მართლმადიდებლობა საქართველოში განიცდის რა უკანასკნელ კრიზისს, ითხოვს შემწეობას და შევლას ძველებური ეკკლესიის წეს-წყობილების აღდგენით, რაზედაც ოფიციალურად გამოსთქვს თავისი აზრი ყველა ეპარქიის სამღვდელეობების კრებებმა მთელს საქართველოში, თავად-ახნაურთა კრებამ, ქალაქების თვით-მართველობამ და სოფლის საზოგადოებათა.

სინოდის ცირკულიარულ უქაზის მე-8 №-ში კითხვაზე: „ხომ არ იმოქმედებს წინააღმდეგად საქართველოს ავტოკეფალია და ხომ არ აცნებს სახელმწიფოს მთლიანობის საქმეს და არ წააქეზებს ქართველთა კულტურულად და პოლიტიკურად გამოყოფაზე, — ვიტყვით აქვე: თვით ისტორია საქართველოს რუსეთთან შეერთებისა არის მქვერმეტყველურად დამამტკიცებელი საბუთი ამისთანა კითხვისა. აზრი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა დაიბნადა

იმ დროს, როცა საქართველო სარგებლობდა პოლიტიკური, ეკკლესიური და კულტურული თვისი არსებობის სიკეთითა; მაგრამ შედგება ხალხში თავის სისუსტისა მკირე რიცხოვნებისა გამო და ლტოლვილება მ-სი ერთმორწმუნე ხელმწიფისადმი იყოსიეთი დიდი, რომ მეფენი ერთად სასულიერო წოდებისა და მართველები საქართველოის თავის ნებით ისდიდენ გვირგვინსა და მზად იყვნენ დაედგათ იგი ერთ-მორწმუნის რუსეთის ხელმწიფის თავზე თავის ხალხსონობის არსებობის დაცვისა და ეკკლესიის წეს-წყობილების ხელუხლებობისათვის. ესეთითივე აზრი აქვს დღესაც საქართველოს ხალხს. თუ გამოცხადდა მოძრაობა რუსეთის რეკომისის წინააღმდეგ მთელს საზოგადოებაში და მივიდა იქამდისინ, რომ გამოეყოს რუსეთის ეკკლესიის, ეს გამოიწვია იმედის გაცრუებამ, რომელმანაც იგი შეაერთა რუსის სალხს სახელდობრ: ხალხის დღევნულებამ, რომელმანაც მიახწია უკიდურესობამდე, თან-და თან დამზობამ წესთა, ხალხის ჩვეულებათა და ზნეთა საქართველოის უბედურის მართლმადიდებელი ეკკლესიისამ, იმ წესთა და ჩვეულებათა, რომელიც დაცულ იყვნენ ქრისტიანობის პირველი დროიდან და კრძალით უნდა მოპყრობოდნენ ყველა ქრისტიანები და უმეტესად ნასწავლნი, მაშა სადამე, ქართველთა შოშ რუსეთის სახელმწიფოსაგან გამოყოფისა გამო სრულებით აღგილი არა აქვს. წინააღმდეგ თუ ქართველთა ხალხის და მათი აღგილობითი ეკკლესიის ინტერესები არ იქნებოდა გათელილნი რუსეთის მთავრობისაგან, იმ მიზნით, რომ სრულებით მოსპონ ქართველობა, მაშინ თვითელი ქართველი იგრძნობს თავის-თავს ქვეშაირტი რუსეთის მოქალაქედ, აღფრთოვანდება ყველა იმ იმედებით, რომლითაც სცხოვრებს რუსის ხალხი. სხვა გრძნობა ყოვლად შეუძლებელია.

ესართ, აღდგინება საქართველოში ეკკლესიის ავტოკეფალობისა უნდა მოხდეს სახელმწიფოსის სასარგებლოდ, და არავითარ ენებას მისგან გარდა დიდი სარგებლობისა საქართველოსა და თვით რუსეთის სახელმწიფოსაჟისაც არ უნდა მოველოდით*).

ამ სახით ისტორიულად შემდგარის ტრადიციებით და ხალხის განსაკუთრებული ცხოვრების წესებით და ჩვეულებით ითხოვება არა თუ მახლობე-

10) მავალითად ავიღოთ ანგარიშები 1890,91 გვერდი 145—153, 1892—93 გვერდი 234—236, 1895 წ. 1896—1897—98, 1899, 1900 წ. გვერდი 176.

* აზრი ეპარქიის მღვდელთ-მთავართა ეკკლესიის რეფორმების შესახებ ნ. III გვერდი 509—510.



ლი მღვდელთმთავრის ყურადღება და ზრუნვა ადგილობრივ ნორმალურ ეკლესიის ცხოვრების მიმდინარეობისათვის, არამედ სრული თავისუფალი მართვა — გამეგება ადგილობრივი ეკლესიური განმანათლებელი ორგანოებისა, რომ მათ შეიძლონ სრულეობით თავისუფლად და თავისი ინიციატივით მოქმედება თანახმად თავის შეხედულებებისა დააყენებინონ ადგილობრივი მოთხოვნილებანი და არ გახდნენ ბრმა და მორჩილ იარაღად, აღმასრულებელნი განკარგულებათა, გამოცემულთა ქართველთათვის უცხო პირთა, უმაღლეს მართველთა, რომელსაც ზოგიერთი, კითხვები რომელნიც აღეფეგნენ ადგილობრივ მცხოვრებთა, მათ სრულეობით ყურადღების ღრსად არ მიანიათ. ამასთან უეჭველია, რომ ცნობა და შეტყობა ადგილობრივი ხალხის მღვდელთმთავრებისა უმაღლესია ვინემ რუსის ექსარხოსებისა, რომელთა უცხო არ იციან არც ადგილობრივი ენა, არც ისტორია ადგილობრივი, არც ზნე და ჩვეულება ქართველთა და ემსახურებიან მარტო სახელმწიფო პოლიტიკის საქმეს ვინემ ცხოველ ქართველთა ეკლესიის საქმეს.

ვინაიდან მრავალი საპატრივო რელიგიური კითხვები არიან დაგროვებულნი გადასაწყვეტად, რომელნიც თხოვენი თავისუფლად დალუყანგნილი გარდაწყვეტას მიუცილებლად საჭიროა ნება მიეცეს ქართველთა ეკლესიის ავტოკეფალიზმის აღდგენისა, იმ საეკლესიო საზღვრებში (კრ. 11. კანონი 2. ანტიოქიისა, კრების კანონი 9.), რომ თფილისი, მყოფი სატახტო ქალაქად, უნდა იქმნეს შუაგულ ადგილად სადაც უნდა მოთავსდეს უმაღლესი მმართველობა ეკლესიისა.

გუმანური აზრის მექონი რუსეთის ეკლესიის მღვდელთმთავართა სრულეობით არ აწინებს საქართველოში ქართველთა ეკლესიის ავტოკეფალიზმის აღდგენება. წინააღმდეგ ზოგიერთები მიუცილებელ საჭიროთაც რაცხვენ მის აღდგენებას.

დასასრულ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ სხვა ზომები, რომელნიც უნდა იქმნენ მიღებულნი საქმეს ვერ დაეხმარებიან. საჭიროა სრული განთავისუფლება საქართველოს ეკლესიისა. იმედი გვაქვს, რომ ყველანი, ვინც მოსურნეა ეკლესიის მშვიდობიანობისა, აღმოვიგინენ შემწეობას ამ მომწიფებულის და დაუყოვნებლად აღსასრულებელ კითხვის გადაწყვეტაში.

(გაკრძელება იქნება)

სწორეთი გაზიარება საქმე!

გაჭირვება, რომელიც დღეს ადგია ხალხს საზოგადოდ განურჩევლად, არ გამოუცლიათ არასოდეს. ჩვენ არაფერს ვიტყვი სხვადასხვა გაჭირვებასა და უბედურებაზე, რომელიც ხალხს მიაღება განმთავისუფლებელ მოძრაობისა გამო, რადგან ამებზე საერო გაზეთებიც მრავალს სწერენ. ჩვენ ვიტყვი მხოლოდ სხვადასხვა სახელმწიფო გადასახადებზე. ასე ვაუკითხავად, ასე განურჩევლად და გაურკვეველად არასოდეს არ ყოფილა გადასახადის კრება და, ვგონებ, არა თუ ჩვენში, არამედ არსად არ უნდა იყოს. აგერ ორი — სამი წელიწადი არ მოუთხოვიათ გადასახადი და არც გლუბებს და არც სხვებს არ შეუტანიათ. პოლიცია სრულეობით არავის ხმს არ სცემდა ამ გადასახადებზე. დღეს ახდევინებენ, მაგრამ მეტისმეტად ვაუკითხავად. გადასახადი მიწის და სხვები ისე უთავბოლოდ არის გაწერილი, რომ ვერ გაიგო კაცმა ვის რა უნდა ხდებოდეს? ერთს ხდება ორი სამი მეტი თავის ძმაზე, რომელსაც იმდენივე მამული აქვს და მიწის გამოსავალიც ერთი და იგივეა. ერთ კაცს მამული აქვს ერთ სოფელში, მაგრამ ორ სამ სოფელში შეცდომით დაუწერიათ და გადასახადსაც სამი მამულისას ახდევინებენ, როდესაც ერთის მეტი არ ჰქონებია არსად და არც აქვს. ზოგს მამის სიკვდილის შემდეგ სამი წელიწადი შეიღებს უხდია გადასახადი და დღეს, არა მიმხედველი კვიტანციებისა, მამისას კიდევ ცალკე თხოვენ და თუ უარი გაბედა პოლიცია სტრატეგიკით ყოლიფრის გაყიდვას ემუქრება. ორ — სამ ადგილას ყოფილა ჩაწერილი კაცი შეცდომით და კახიონი ჰალატას განუთავისუფლებია იგი, მაგრამ კიდევ ხელახლად ახდევინებენ. ხალხისთვის გამოუცხადებიათ, რომ მამულის გადასახადი მამასახლისის ხელით წარმოადგინეთ, რადგან სათითველოდ ყველასგან მიღება ძნელიაო. ხალხს ამ გამოცხადების შემდეგ მამასახლისისათვის წარუდგენიათ. მამასახლისი შემოკშია ეს ფულები და დღეს ხელახლა ყაზახებით ახდევინებენ და შტრაფებით... ორი წლის განმავლობაში პოლიცია აგზავნიდა თავის მოხელეს გადასახადების შესაკრებად ვისაც დარჩენილი ჰქონდა ძველი წლისის, აუღია ამ კაცს ეს ფულები და კვიტანცია წარმოადგინეს, მაგრამ ხელახლა ახდევინებდა.

ნებენ, რადგან ის მოხელე დღეს სხვაგან არის გადაყვანილიო. უკანასკნელი ქონება ვყიდებთ და ფულები ხდებთ ერთჯერ და ორჯერ გარდახდილი. ამას წინეთ გლგებებისაგან წარდგენილი სანადგლო ფულები ბ. მოპრიგებელ შუამავალს შეეკვირხა და ხელახლა გლგებებს ახდევინებდნენ, რადგან ეს მოპრიგებელი შუამავალი მომკვდარიყო!

მეზარე ინსპექტორები, როგორც იყო გამოცხადებული, თორმეტ მილიონ მანეთს იღებენო. მაგრამ ამ გადასახსლების საქმე მათი დანიშვნის შემდეგ უფრო არეულ დარეულია და საქმეს სრულებით ვერ შევლიან.

ყვირილის ხაზინაში 210 ათასი მანეთი იყო შეტანილი გლგებებისაგან, მაგრამ მივიდნენ და ხაზინადარს ეს ფულები ჩამოართვეს სრულებით, არავითარი წინააღმდეგობა არავის გაუწევია ფულის წამლებლებისათვის. ისინი დაუსახელეს მთავრობას, მაგრამ ეს ფულები საზოგადოებას გარდახდევინეს, რა უბედურობით, ამას კალამი ვერ ასწერს. ნუ თუ დიდხანს ვაგრძელებდა ესეთი მდგომარეობა და არავინ არ იზრუნებს, რომ ამ საციოდე ხალხს ცოტა მფარველობა გაუწიოს და ერთი გადასახადი ორ და სამ გზის არ ხდებოდეს მამასახლისების და მათი მწერლების წყალობით?..

ხაზინიდან წაღებული ფულები მღვდლებსაც გადაახდევინეს და რომელი კანონით? ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის!..

დ. ღ. ღამაშაძე.

ავიწყდებათ ყველას, რომ უცხოეთში სახელმწიფოს სათათბიროსთვის კი არ ირჩევენ დეპუტატებს, არამედ პარლამენტისათვის. იქ ყველა დარწმუნებულია, რომ მათი არეული დეპუტატები რასაც გადაწყვეტენ ის უნდა აღასრულოს მთავრობამ. აქ სულ სხვა არის. აქ უფლება აქვსთ სანამ არ დაიღლებინათ ითათბირონ და ბოლოს რასაც გადასწყვეტენ სახელმწიფო საბჭოს უნდა სთხოვონ, რომ თანხაობა გაუცხადოს, მაგრამ ვახტანგთან თუ არა თანახმა ესეც საეჭვოა. თუ სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭო შეთანხმდნენ მერე ხელმწიფეს უნდა სთხოვონ და ისიც თუ დათანხმდა მაშინ გამოვა რამე. რუსეთში, როგორც იწერებთან ბევრი მღვდლები და მენდაიონენი აურჩევითა და შეიძლება სტაროსტებიც აირჩიონ. რას გააწყობენ ჩვენ დეპუტატები რუსეთის დეპუტატებთან ვინც უნდა აღირჩიონ აქედამ?!

ამბობენ თუ მეორე დუმაც დაითხოვეს აღარ დასთობენო... რას იზომნან? ჩვენის აზრით არაფერს. იმას იზომნან რაც პირველი დუმის დათხოვნამ გამოიწვია. დათხოვნილი დეპუტატები მოვილიან შინ. ბევრს გამოორცხვენ თავის კრებიდან და მესამე დუმის დეპუტატების არჩევის დროს მათ მაგიერ სხვას აირჩევენ და ვთავაზებმა! სხვა რა ღონე აქვსთ? რა უნდა ჩაიდინონ? სწორეთ აღარ ვიცით... ნეტავი როდის იქნება ის დრო რომ ჩვენში ერთობა დამყარდეს? უამისოთ კი არავინ არავითარ ხეირს და გაუმჯობესობას არ უნდა მოველოდეთ.

XX.

ჩვენი არჩევნების შესახებ.

მოაწია სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არჩევის დრომ. შეიქმნა ერთი მოძრაობა და ალიანსოთი ჩვენს მიძინებულს საზოგადოებაში. ვაზეთები კრებავს ცნობებს საქართველოს ყველა კუთხეებიდან და მკითხველებს ტყუობინებს თუ სად ვინ აირჩიეს, სად რომელმა პარტიამ გაიმარჯვა. წარმოიღვინეთ, ამისთანა უმნიშვნელო ცნობებს ისე გაფაციცებით კრებენ და კითხულობენ, რომ რაღაცა დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ კენჭის ყრას. ყველაფერში ბაძავენ ვითომ უცხოეთის ხალხს და არ უნდათ ჩამორჩენ დეპუტატების არჩევაშიც! მაგრამ

ამხანაზთ.

ვით არ შეეძრწუნდეთ—გვიადეთ რა ბრუნდეთ, ურდო, ურგვაი ჟამთა ცვალებით, რომ მის ნაშუაფშა არ კმა სამყოფმა ვედაზა გვარგო თვისის ძალებით,

ზოგი რას ელტვის და ზოგიც რას, ზოგი «აღასს» სმასს, ზოგიც «ბაღასას», და შარას გზახანს სწორ-სამართლასს უშა-ფეხსოფებს გზათა მართლასს.

სხვა და სხვაგან, ნდობის გზაობა, ოდენ მთფერხი ერთა წინ სრბისა—

ვის არ სმენია— მის დარჩენას
საჭირ-ბოროტო—საყენებლად მისისა.

ცალ-ცალკეობას, განკვეთებას,
მოუფასოთა შორის მარად რტობას—
სულთ აღმაფრენის წარმკეთთი სვედრო
და ამ ქვეყნადღად დამარცხებას.

მის განვიცადოთ, გულით ვეცადოთ
აღმოფრენათ ჩვენში ეკ უსწრობას
და დაუმიყვადროთ მოყვასებური
ერთ-თანხმობას და ერთი ძიობას;

ჭეშმარიტებით გამსჭვალულ სულთ
ზე აღმა მფრენი, ცად მიზიდული,
და ამ ქვეყნად სანდოფრებულად
„თავისუფლებას“ და „სიყვარულს“.

მის განსწავლებას დიადი მტნება,
ეს არის ჩვენი სკუროთა ვაჟი,
მხოლოდ ამ აზრის შესისხლ-ხორცებას
აქვს მადლიანი გამოსავალი.

მხოლოდღად ესრედ ძიობათ ერთობის
და სიყვარულით ზრდაშის რწმენას.
მხოლოდ ამ გულწრფელ ნაფასწ-ნასაქმისა
მიენიჭება ჯილდოდ ცაფლენას,

ამისთვის გემართებს სულის სიწრფილეთ,
სხეტაკი აზრი და წმიდა გული,
სიტყვა: „ითხოვდეთ და მოგებრეთო“,
გვექმნეს ღირსეულ მონიჭებულო.

როსტომ-გუმბა ჩაქოვანა

იმედი

ბეგრტვის დამსჯა ბუნებაში,
ბეგრტ რამ მომაცლებიანს,
და მის-ნაყოფი უნდობი
სამსალა დამალებიანს.

უძლურსა ვეღარ ძალ-მედვა
სიამ-სიკემის ჰეურებას,
რომ სავადლებო-სვგრძობის
დამეცვა მე მისაზრებას.

და ამისგამო დამსჯლო
გულანტკენ—დადუნებული,
რომილითაც მეტად შევიქმენ
მრავალკერობით ვნებული!

სსრუა დღენი ცხოვრების
ამ ჟამად ცარბებული,—
დღე — დღეზედ მიმდინარენი
საყნო სიამებელ სწრებული...

მაცრამ „იმედი“, იმედი
მოსალებუნეთი გულისა
არის მალამო წულულები
სვე-ბედიოთ დატანჯულისა.

და ეს იმედი უფოლად მძლე
სიმხნობათ სიბრძნით სრულია,
მომავალისა მნათობი —
აღმაფრთვანის „სუღაი“;

ვინც განმსჭვალული იმედიო
ვისაც სწამს მომავალიო —
მხოლოდ მისია ნათელი —
უკუნის სანდოფლო.

მის რა მადონებს, რას უკრთი,
რას მოუტარავს ტონებს?
წუთიერ ჟამის ხიმანჯისა
მსნე ვითარ დამონებს!

დაის, არა მწამს სიმუხლეთ
მაფრენი წინა სრბისა!
კვლავმე შეეურებ განთიადს
„აგრორას“ — მნათი დილისა.

მის ეს იმედი ვით „წინადა“
მომავლისა კეთილ-დღისა —
მეც ნექტარ წყაროს მომმადლისა
და უფოლს მრწამსისც მისისა!..

როსტომ-გუმბა ჩაქოვანა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის ჟურნალის „მწვემის“-ს ერთ-ერთს უმასობალებს ნამუ-რში სიმართლის დანადგენულად ადგილი დაუთმონ ამ ჩემს წერილს.

